

❖ ԿՈՂԾԴՐՈ ԱԺԾՂՑՈՍ ՏԵՐՈՒԱ ❖

ՅՈՒՑՈ ԹԵՂՐԵ



# ՔԵՐԱՆՈՒՄՈ

ՐԴՅՈՆԻ ՏԵՇԻԿԳՐՈ

ՈԽԾՈՎՆԻ ՏԱՐԳՄՆԱ  
ԱՌԱ ԾԵՐԱՌԱԺ



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ

Դժողովն այսպիս...  
Իդու ենցանուած համարքուած ոչուշելով,  
այդյու մին ընկած.



# თავი პრიზული

ქალაქიდან გასასვლელი გზა, რომელიც ნისლით  
დაბურულ ნავსადგურს ჩაუვლის და პატარა ქალაქ  
ტედიასკენ მიემართება, ალბათ ყველაზე უსიამოვნო  
გზაა დედამიწის ზურგზე. მას შემზარავ გზატკეცილ-  
საც უნოდებენ. შემზარავი გზატკეცილი მიუყვება  
უღიმღამოდ ჩარუხებულ მინდვრებს. აქ ორიოდე  
ტანწვრილი ვაშლის ხე დგას, რომლებიც ისეთ მუავე  
ნაყოფს ისხამენ, რომ მათი გასინჯვაც კი არ დაგჭირ-  
დებათ – შეხედვისთანავე გაგაურიალებთ. შემზარა-  
ვი გზატკეცილი კვეთს პირქუშ მდინარეს, რომლის  
ცხრა მეათედს ტალახი შეადგენს და რომელშიც  
უზარმაზარი, შიშისმომგვრელი თევზები დაცურავენ.  
შემდეგ კი გზა გარს უვლის პირქუშსას ფაბრიკას,  
რის გამოც იქაურობა მომწარო, მძაფრი სუნით ყარს.

ვწუხვარ, რომ ამ ყველაფრის მოყოლა მიწევს, მაგ-  
რამ ობოლი ბოდლერების სევდიანი ამბავი სწორედ  
ამ პირქუში მგზავრობით იწყება და ამის შემდეგ  
მათი ყოფა უფრო და უფრო უარესდება. უბედურ  
ადამიანებს შორის – დარწმუნებული ვარ, ასეთებს

ბევრს იცნობთ – პატარა ბოდლერებს ბადალი არ მოეძებნებათ, რაც ამ შემთხვევაში იმას ნიშნავს, რომ მათ ყველა დანარჩენზე უფრო საშინელი ამბები გადახდათ თავს. უბედურ შემთხვევათა წყება საშინელი ხანძრით დაიწყო, რამაც ბოდლერების სახლი გაანადგურა და მათი საყვარელი მშობლები იმსხვერპლა. ასეთი ტრაგიკული ამბით გამოწვეული სევდა, როგორც წესი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან სდევს ადამიანს, მაგრამ ამ ბავშვების შემთხვევაში ეს მხოლოდ და მხოლოდ ცუდი დასაწყისი იყო. ხანძრის შემდეგ პატარა ბოდლერები საცხოვრებლად შორეულ ნათესავთან, გრაფ ოლაფთან გაგზავნეს, რომელიც ხარბი და ამაზრზენი ადამიანი აღმოჩნდა.

ბოდლერებს მშობლებმა დიდალი ქონება დაუტოვეს, რომელსაც, ანდერძის თანახმად, მაშინ მიიღებდნენ, როცა უფროსი გოგონა, ვიოლეტი, სრულწლოვანი გახდებოდა. გრაფმა ოლაფმა ბავშვების ფულის ხელში ჩაგდება მოინდომა და ამ მზაკვრული სურვილის შესასრულებლად ისეთი თაღლითური გეგმა შეთითხნა, დღემდე კოშმარად მესიზმრება. მართალია, ოლაფი დროულად დაიჭირეს, მაგრამ მან გაქცევა მოახერხა და თან დაიფიცა, რომ ბოდლერების ქონებას ადრე თუ გვიან მაინც დაეპატრონებოდა.

ვიოლეტს, კლაუსსა და სანის ჯერაც არ ამოსდიო-

დათ გონებიდან და ყოველ ღამე სიზმარში ხედავდნენ გრაფ ოლაფს, თავისი აელვარებული თვალებითა და გადაბმული, შუბლზე ერთ ხაზად გადაჭიმული წარბით. ყველაზე ხშირად მაინც გრაფის კოჭზე ამოსვირინგებული თვალი ესიზმრებოდათ. ეჩვენებოდათ, რომ სადაც უნდა წასულიყვნენ, ეს თვალი ყველგან უყურებდათ.

ამრიგად, თუ ეს წიგნი იმ იმედით გადაშალეთ, რომ ბედნიერი ბავშვების შესახებ წაიკითხავდით, გირჩევთ, ახლავე დახუროთ და რაიმე სხვა საკითხავი მოიძიოთ, რადგან ვიოლეტს, კლაუსსა და სანის, რომლებიც მოცუცქნულ მანქანაში სხედან და ფანჯრიდან შემზარავ გზატკეცილს გასცეკრიან, კიდევ უფრო მეტი ტანჯვისა და ვარამისკენ აქვთ აღებული გეზი. პირქუში მდინარე და პირშუშხას ფაპრიკა მხოლოდ დასაწყისია მთელი წყება იმ ტრაგიკული ამბებისა, რომელთა გამოც ასეთი დაღვრემილი და თვალცრემლიანი ვწერ.

ავტომობილის საჭეს ბატონი პო უჯდა, ბოდლერების ოჯახის მეგობარი, რომელიც ბანკში მუშაობდა და გამუდმებით ახველებდა. ობლების საქმეებს ის განაგებდა, ამიტომ სწორედ მან გადაწყვიტა, რომ გრაფ ოლაფთან მომხდარი უსიამოვნებების შემდეგ ბავშვებზე სოფელში მცხოვრები შორეული ნათესავი იზრუნებდა.

— ვწუხვარ, რომ ასეთ სიმჭიდროვეში გინევთ მგზავრობა, — უთხრა ბატონმა პომ ბავშვებს და თავის თეთრ ცხვირსახოცში ჩაახველა, — მაგრამ ჩემს ახალ მანქანაში ბევრი ადამიანი არ ეტევა. თქვენი ჩემოდნებიც კი ვერ ჩავატიეთ. ერთ-ორ კვირაში მოგაკითხავთ და მაშინ მოგიტანთ.

— გმადლობთ, — ჩაილაპარაკა თოთხმეტი წლის ვიოლეტმა.

ვინც გოგონას კარგად იცნობდა, მიხვდებოდა, რომ მას ბატონი პოს სიტყვები არც გაუგონია, რადგან თმა უკან გადაეწია და ბაფთით შეეკრა. ვიოლეტს გამომგონებლური ტვინი ჰქონდა და როდესაც ახალ გამოგონებებზე ფიქრობდა, თმას სწორედ ასე იკრავდა ხოლმე. თმის ასე გაკეთება კბილანების, მავთულებისა და თოკების უკეთ წარმოდგენაში ეხმარებოდა, რომელთაც ხშირად იყენებდა თავის გამოგონებაში.

— ვფიქრობ, ქალაქში ამდენი ხნის ცხოვრების შემდეგ სოფლის გარემო გესიამოვნებათ, — განაგრძობდა ბატონი პო, — აი, მოსახვევიც. თითქმის მივეღით.

— კარგია, — ჩუმად თქვა კლაუსმა, რომელმაც, როგორც ბევრ ადამიანს ემართება ხოლმე, მანქანით მგზავრობისას მოიწყინა. გარდა ამისა, იმაზეც წუხდა, რომ წიგნი არ ჰქონდა თან. კლაუსს კითხვა

უყვარდა და თორმეტი წლის ასაკში იმდენი წიგნი წაეკითხა, რამდენიც ზოგიერთ ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ წაუკითხავს. ხანდახან, ღამლამობით, კითხვის დროს ჩაეძინებოდა ხოლმე, ისე რომ, დილით საწოლში წიგნით ხელში და სათვალემოუხსნელად მძინარეს ხედავდნენ.

— ვფიქრობ, დოქტორი მონტგომერიც მოგეწონებათ, — დაამატა ბატონმა პომ, — ძალიან ბევრ ქვეყანაშია ნამყოფი და, შესაბამისად, მრავალი საინტერესო ამბის მოყოლა შეუძლია. ამბობენ, სახლი სავსე აქვს მოგზაურობებიდან ჩამოტანილი ნივთებითო.

— ბახ! — შეჰყვირა სანიმ.

ნაბოლარა ბოდლერი ასეთი სიტყვებით მეტყველებდა, რაც ჩვილებისთვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია. სანი მთელი დღის განმავლობაში ან ამგვარად ტიტინებდა, ან კიდევ თავისი ოთხი ბასრი კბილით სხვადასხვა საგანს კბენდა. ხშირად რთული გასარკვევი იყო, რის თქმა სურდა გოგონას. ახლა კი ალბათ ის თქვა, შორეულ ნათესავთან შეხვედრის გამო ვნერვიულობო. ამას ვიოლეტი და კლაუსიც განიცდიდნენ.

— დოქტორი მონტგომერი როგორ ნათესავად გვეკუთვნის? — დაინტერესდა კლაუსი.

— დოქტორი მონტგომერი თქვენი... ერთი წუთით... თქვენი განსვენებული მამის ბიძაშვილის ცოლის

ძმაა. მგონი, სწორად გითხარით. მეცნიერია და მთავრობისგან ბევრ ფულს იღებს...

ბატონი პო, როგორც ბანკის მოხელე, მუდამ დაინტერესებული იყო ფულით.

– რა უნდა დავუძახოთ? – ჰეთხა კვლავ კლაუსმა.

– დოქტორ მონტგომერის დაუძახებთ, თუ, რა თქმა უნდა, თვითონ არ გეტყვით, უბრალოდ, მონტგომერი მიწოდეთო, – უპასუხა ბატონმა პომ, – მისი სახელიც მონტგომერია და გვარიც, ასე რომ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს...

– ესე იგი, მონტგომერ მონტგომერი ჰქვია? – გაეცინა კლაუსს.

– დიახ, და დარწმუნებული ვარ, ამ ამბავს თვითონაც განიცდის, ასე რომ, არ გამოაჯავროთ, – ბატონმა პომ ისევ ჩახველა ცხვირსახოცში და განმარტა: – „გამოჯავრება“ დაცინვას ნიშნავს.

– ვიცი, რასაც ნიშნავს „გამოჯავრება“, – კლაუსმა ამოიოხრა. ბიჭს ალარ დაუმატებია, ისიც კარგად ვიცი, რომ სხვისი სახელი სასაცილოდ არ უნდა ავიგდოო. მას გულს სტკენდა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ფიქრობდა, რადგან ობლები უიღბლონი არიან, ჭკუანაკლულებიც იქნებიან.

ვიოლეტმაც ამოიოხრა და თმიდან ბაფთა მოიხსნა. აქამდე იგი ცდილობდა, რამე ისეთი გამოეგონებინა, რაც პირშუშხას საძაგელ სუნს მათ ცხვირებამდე არ

მიუშვებდა, მაგრამ რადგან დოქტორ მონტგომერი-სთან მოახლოებული შეხვედრის გამო ნერვიულობდა, კონცენტრაციას ვეღარ ახერხებდა.

— რომელი დარგის მეცნიერია, თუ იცით? — ჰკითხა გოგონამ ბატონ პოს; ფიქრობდა, იქნებ დოქტორ მონტგომერის ლაბორატორია ჰქონდეს და მეც გამოვიყენებო.

— არა, არ ვიცი, — გამოტყდა ბატონი პო, — მხოლოდ თქვენი საქმეების შესახებ ვესაუბრებოდი და ჭორაობისთვის დრო აღარ დამრჩა. ოჰ, აი, სახლიც. მოვე-დით.

ბატონმა პომ ავტომობილი მოხრეშილ, ციცაბო აღმართზე აიყვანა, რომელიც ქვის უზარმაზარი სახლისკენ მიემართებოდა. სახლს მუქი ფერის, კვადრატული ფორმის ხის მთავარი კარი ჰქონდა, პარმალს კი რამდენიმე სვეტი ამშვენებდა. კარის ორივე მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ დილა იყო, ლამპიონები ენთო. კარს ზემოთ კვადრატულივე ფორმის ფანჯრები იყო ჩამწკრივებული, რომელთა უმეტესობა ღიად დაეტოვებინათ, აღბათ ოთახების გასანიავებლად. სახლის წინ კი უჩვეულო რამ დაინახეს — უცნაური ფორმის, მაღალი, შეთხელებული ბუჩქები ვრცელ, კარგად მოვლილ გაზონს ქმნიდა. როდესაც ბატონმა პომ მანქანა გააჩერა, ბოდლერებმა შეამჩნიეს, რომ ბუჩქები იმგვარად გაეკრიფათ,

გველებს დამსგავსებოდნენ. თითოეული ბუჩქი სხვა-დასხვა ფორმის გველს ჰგავდა: ზოგი გრძელი იყო, ზოგი – მოკლე, ზოგს ენა გამოეყო; ზოგ გველს კი პირი დაელო და მწვანე, შიშისმომგვრელი კბილები მოუჩანდა. „გველები“ ისე ავისმომასნავებლად გამოიყურებოდნენ, რომ ვიოლეტმა, კლაუსმა და სანიმ მათ ძრნოლით აუარეს გვერდი.

ბავშვების წინ მიმავალ ბატონ პოს გველი-ბუჩქები საერთოდ არ შეუმჩნევია, ალბათ იმიტომ, რომ ამ დროს ბავშვებისთვის მითითებების მიცემით იყო გართული.

– კლაუს, მისვლისთანავე ძალიან ბევრ კითხვას ნუ დასვამ. ვიოლეტ, ბაფთა რა უყავი? ჩემი აზრით, შეკრული თმა უფრო გიხდებოდა. და კიდევ, სანის ყურადღება მიაქციეთ, დოქტორ მონტგომერის არ უკბინოს, ეს პირველ შთაბეჭდილებას ნამდვილად გააფუჭებს.

ბატონი პო კარს მიუახლოვდა და ზარი დარეკა. ზარმა ჩვეულებრივზე ხმამაღლა დაინკარუნა. წუთის შემდეგ შიგნიდან ნაბიჯების ხმა გაისმა და ვიოლეტმა, კლაუსმა და სანიმ ერთმანეთს გადახედეს. რასაკვირველია, ჯერ ვერ ხვდებოდნენ, რომ მათ უიღბლო ოჯახს სულ მალე ახალი უბედურება დაატყდებოდა თავს, მაგრამ მაინც შფოთავდნენ. „ნეტა დოქტორი მონტგომერი კეთილი ადამიანია?“; „გრაფ

ოლაფზე უკეთესი მაინც თუ არის? ვაითუ, უარესია?“  
ფიქრობდნენ ისინი.

კარი ნელა, ჭრიალით გაიღო, სუნთქვაშეკრულმა  
ობლებმა ჩაბნელებულ წინკარში შეიხედეს და დაინ-  
ახეს იატაკზე დაფენილი მუქი ღვინისფერი ხალიჩა,  
ჭერიდან გრძლად ჩამოშვებული ფერადი მინისგან  
გაკეთებული ჭალი, კედელზე დაკიდებული დიდი  
ფერწერული ტილო, რომელზეც ერთმანეთზე გადახ-  
ლართული ორი გველი იყო გამოსახული. მაგრამ  
დოქტორი მონტგომერი არსად ჩანდა.

— გამარჯობა, აქ ხართ? — დაიძახა ბატონმა პომ.  
— გამარჯობა, გამარჯობა! — გაისმა მჭექარე ხმა  
და კარს უკნიდან დაბალმა, პირმრგვალმა და ლოყე-  
ბლაჟღაჟა კაცმა გამოაბიჯა, — მე თქვენი ბიძია მონტი  
ვარ, ძალიან კარგ დროს მოხვედით! სწორედ ახლა  
მოვრჩი ქოქოსისკრემიანი ნამცხვრის მომზადებას!